
















# TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE

## ქართული სპექტაკლების პროგრამა

# GEORGIAN SHOWCASE

## 2012

განსაკუთრებული
მადლობა

**JTI** - კომპანიების ჯგუფს
დახმარებისათვის

ფესტივალის ინიციატორი და მასპინძელი
Tbilisi International Festival of Theatre
is Initiated and Hosted by

ფესტივალის მხარდამჭერი
Festival Supporter

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

გენერალური პარტნიორი
Primary Partner

საქართველოს ბანკი
SOLO
იგრძენი მომავალი

ოქროს პარტნიორი
Gold Partner

ჯიპისი GPC

ინიციატორები, მასპინძლები, პარტნიორები და მეგობრები – ყველა იმსახურებს ჩვენს გულითად მადლობას.
მათ გარეშე ფესტივალი ვერ შედგებოდა.

Our founders, partners, and friends - all deserve
OUR GRATEST THANKS !
Without their support the
FESTIVAL would not have been possible.

ჩვენს გვერდით დაარსების დღიდან / By our side since establishment

პროექტის პარტნიორი / Project partner

პარტნიორი / Partner

ფესტივალის მასპინძელი / The Festival is hosted by

საინფორმაციო მხარდაჭერა / Media Support

ფესტივალის კლუბი / Festival Club

# რატომ თბილისი

რიდიარდ კიპლინგმა ერთხელ თქვა - დასავლეთი მაინც დასავლეთია, აღმოსავლეთი კი ისევ აღმოსავლეთი და ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთსო. მაგრამ ცხოვრებაში ერთხელ, თურმე შეიძლება პოეტიც შეცდეს, რადგან კიპლინ-გი არასოდეს ყოფილა თბილისში და ამიტომაც მან უბრალოდ არ იცოდა, რომ ასეთი ქალაქი სინამდვილეში ყოველთვის არსებობდა.

ასეთი ქალაქი ახლაც არსებობს და კიპლინგისაგან განსხვავე-ბით, თქვენ შეგიძლიათ ახლავე ეწვიოთ თბილისს და თავად დარწმუნდეთ იმაში, რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი აქ, მართლა, ერთმანეთს ხვდებიან.

თქვენ კი აქ, თქვენს ბავშვობას შეხვდებით, რადგან თბილისი იმ საქართველოს დედაქალაქია, რომელსაც ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მწერლებმა ზღაპრული ქვეყანა უწოდეს და ბავშვობის ზღაპარში დაბრუნებას რა ჯობს.

სტუმრებისთვის კი ნამდვილად ჯობია, რომ თბილისს შემოდ-გომაზე ეწვიონ, რადგან საქართველო ღვინის სამშობლოც არის და რთველის დაწყება თბილისის თეატრალურ ფეს-ტივალს ემთხვევა. ქართველებიც ყველაზე ბედნიერები და მხიარულები, არტისტულები და სტუმართმოყვარეები, სწო-რედ შემოდგომაზე არიან და ოქტომბერში თბილისი და სა-ქართველო, მართლა, ოქროსფერი ხდება.

სხვათა შორის, ამ ქვეყანაში არგონავტები სინამდვილეში ოქ-როსთვის მოვიდნენ, მაგრამ კოლხი მედეას გამო ისინი აქ ვეღარ დაბრუნდნენ და ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ამ მიწაზე ნამყოფი უცხოელები ამ ქვეყანას მეორედ ვეღარ ესტუმრნენ, საქართველოში ხომ მხოლოდ ერთხელ, არავინ ჩამოდის.
თუმცა თქვენ ძველი სტუმრებივით ნუ შეეცდებით ოქროს მოძიებას საქართველოს მთებსა და მდინარეებში, იმიტომ რომ ამ ქვეყნის მთავარი სიმდიდრე მაინც მისი ადამიანები არიან და თბილისში ჩამობრძანებისთანავე, ნებისმიერი უცხოელიც, ზემოთქმულში თავად დარწმუნდება.

თბილისის სტუმრები იმაშიც ადვილად დარწმუნდებიან, რომ ამ უძველეს ქალაქში სხვადასხვა ცივილიზაციის გზები გადაიკვეთა და ქართული არქიტექტურის, კულტურისა და ლიტერატურის უნიკალურობას ეს ფაქტიც განაპირობებდა. ქართული ხელოვნება საუკუნეების მანძილზე, ერთნაირად საზრდოობდა როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური მიღწევებით და თბილისში ევროპის გავლენაც იგრძნობოდა ყოველთვის და აზიურ სურნელებასაც ჩამოსვლისთანავე გრძნობდა ნებისმიერი უცხოელი.

საქართველოში ისიც გაგაოცებთ, თუ როგორ შეიძლება, სა-ყოველთაო გლობალიზაციის პირობებში, წარსულის ასე შე-ნარჩუნება დღევანდელ ყოფაში და იმავდროულად ყვე-ლანაირი სიახლის ასე სწრაფად გათავისება. მგონი ამაში გა-დამწყვეტი ქართული ხასიათის ზოგიერთი თავისებურებაა, მაგრამ ამ პრანჭია და მეტიჩარა ხალხს, თავისუფლების ისეთი სიყვარულიც აქვს, სასიამოვნო გაკვირვებას რომ გამოიწვევს. თბილისსა და საქართველოში, კიდევ ბევრი სიამოვნება გელით.
ამიტომაც არასოდეს იკითხოთ რატომ, თუ თქვენ გეძლევათ შანსი თბილისსა და საქართველოს ესტუმროთ, რადგან ეს არის ქალაქი და ქვეყანა, რომელსაც ვერასოდეს დაივიწ-ყებთ...

დათო ტურაშვილი
მწერალი

## Tbilisi - Where Great Civilizations Meet

As Rudyard Kipling once remarked, “East is East and West is West and never the twain shall meet.” And yet the poet would surely have changed his mind if he had visited Tbilisi, a city where East truly meets West.

Now is your chance to come to Tbilisi and see for yourself. Here you will find a fascinating blend of East and West in this ancient capital of Georgia, created at the crossroads of different trade routes and civilizations. You sense here a timeless uniqueness in the architecture, arts and traditions that infuse our country with a living history. Over the centuries Georgian culture has subtly blended Asian and European tastes, making Tbilisi the most delicious dish of all.

Autumn is an extraordinary time to be in Tbilisi. Georgia is the homeland of wine and this is the season for wine-making in the vineyards that surround the capital, bursting with grapes ready to be picked for the wine vats. This is a time when Georgians themselves are bursting with creativity and festive-making, and it is a time when the leaves across Tbilisi and Georgia turn golden.

It was because of another gold, the fabled Golden Fleece, that drew Jason and his Argonauts to our land, known as Colchis in the Classical Age. Their quest fulfilled, they left never to return as Jason continued his adventures, at his side his Georgian bride Medea. But Jason was an exceptional case, since every other visitor to Georgia vows to come back again and to explore more. Even more rewarding than seeking gold in our earth, rivers and mountains is our country's true wealth: the Georgian people. And nowhere will you find this more so than in Tbilisi.

In these fast changing times of globalisation, you may be surprised at how it is possible in Tbilisi to cherish traditional values and lifestyles while at the same time being able to easily assimilate the newest. Such easygoing attitudes sometimes seem to be God-given to Georgians, a happy and alluring people whose passionate love for their freedom will fill your visit with many pleasant surprises, making Tbilisi the city you will always want to come back to.

Dato Turashvili
Writer

# TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE

## TBILISI, GEORGIA

14- 30 September, 2012

"The Festival made for a full picture of status and tendencies in the global dramatic art to emerge. "Tbilisi International" is a combiner, a link or a bridge between Theater of Europe and Theater of Asia"

## TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF TEATRE was established in 2009

The Festival runs every year in autumn (September - October) and is one of the major events in international life of Georgia and not only - it is becoming one of the main performing arts events in Caucasia and Black Sea countries. During the three years TBS INTERNATIONAL has hosted famous, as well as young and yet unknown excellent companies and productions from UK, Italy, Iran, Korea, Israel, Germany, Russia, Lithuania, Poland, France, Armenia, Croatia, Azerbaijan, Estonia, Sweden, Austria, India.... With spectators of more than 15 000, with wide media covarage and very special atmosphere of Festival days and nights.

We think to inspire to live better life on the earth!

The Festival is open to theater and performing arts from all over the world and will host following:

- INTERNATIONAL PROGRAM -MAIN
- INTERNATIONAL PROGRAM - NEW
- GEORGIAN SHOW-CASE
- NEW WRITING
- THEATER MEETINGS
- TRAINING AND EDUCATIONAL PROGRAMS FOR YOUNG THEATER PROFESSIONALS AND STUDENTS
- EXHIBITIONS ABOUT THEATER AND INSPIRED BY THEATRE

Special events and programs for artists, public and guests will add passion to FESTIVAL.

The festival venues are different big and small Theaters of Tbilisi.

Charm of one of the oldest cities in the world - Tbilisi - its atmosphere and diversity , its culture is something, that could create unforgettable experience for all participants

With TBILISI INTERNATIONAL we will endeavor to be understood as a celebration of Tbilisi - as one of the most attractive, diverse, beautiful and theatrical cities in the world!

THE FESTIVAL OFFICE IS LOCATED IN :
Marjanishvili State Drama Theatre
Marjanishvili 8
Tbilisi 0102
Georgia

Festival Administration: + 995 32 2 95 35 82
Theatre Administration: + 995 32 2 95 40 01

**WWW.TBILISIINTERNATIONAL.COM**

**Find us on www.Facebook.com/TbilisiInternational**

## ქართული პროგრამა 16-17-18-19 სექტემბერი

### 16 სექტემბერი, კვირა

| თეატრი | დრო | სპექტაკლი | სპექტაკლის ხანგრძლივობა |
|---|---|---|---|
| შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (ექსპერიმენტული სცენა) | 13:00 | ივანე და ძაღლები | 60 წუთი |
| თითების თეატრი (კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, მცირე სცენა) | 15:00 | ექსტრავაგანსა HD | 50 წუთი |
| შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (მცირე სცენა) | 15:00 | გაუმარჯოს ბუშონს პრემიერა | |
| სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი | 18:00 | ვაჟა | 80 წუთი |
| ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი (დიდი სცენა) | 18:00 | ხოლსტომერი. ცხენის ისტორია | 90 წუთი (ერთი მოქმედება) |
| შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა) | 19:45 | მაგრიტის შემდეგ პრემიერა | |
| სამეფო უბნის თეატრი | 19:00 | ფრეკენ ჟული | 90 წუთი |
| მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი | 20:00 | ზვავი | 70 წუთი |
| ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი | 23:00 | კარმენი | 45 წუთი (ერთი მოქმედება) |

### 17 სექტემბერი, ორშაბათი

| თეატრი | დრო | სპექტაკლი | სპექტაკლის ხანგრძლივობა |
|---|---|---|---|
| შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (ექსპერიმენტული სცენა) | 13:00 | შეშლილი სამყარო | 75 წუთი |
| ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი | 17:00 | სიზმრები სინანულისანი | 130 წუთი (ორი მოქმედება) |
| ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ქუთაისი (თეატრალური უნივერსიტეტი) | 17:00 | შემოსავლიანი ადგილი | 100 წუთი |
| ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი (დიდი სცენა) | 18:00 | მისტიური ღამე სერგეი ესენინთან ანუ ნახტომი თავის თავში | 75 წუთი |
| კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა) | 20:00 | როგორც გენებოთ | 120 წუთი |
| შიშველი თეატრი | 22:30 | სტუმარი | პრემიერა |

## 18 სექტემბერი, სამშაბათი

| თეატრი | დრო | სპექტაკლი | სპექტაკლის ხანგრძლივობა |
|---|---|---|---|
| კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, სოხუმი (მარჯანიშვილის თეატრი, მცირე სცენა) | 12:00 | გუშინდელნი??? | 120 წუთი (ერთი შესვენება) |
| ივანე მაჩაბელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ცხინვალი (საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი) | 15:00 | აზნაურები?! | 75 წუთი |
| ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ოზურგეთი (სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი) | 18:00 | ნაფტალინი | 75 წუთი |
| გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, გორი (რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენა) | | სექტემბრის თოვლი | 110 წუთი (ერთი შესვენება) |
| თავისუფალი თეატრი | 19:00 | მექანიკური ფორთოხალი | 135 წუთი (ორი მოქმედება) |
| სამეფო უბნის თეატრი | 20:00 | სტრიპტიზი | 60 წუთი |
| მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი | 21:00 | სუფთა სახლი | 80 წუთი (ერთი მოქმედება) |

## 19 სექტემბერი, ოთხშაბათი

| თეატრი | დრო | სპექტაკლი | სპექტაკლის ხანგრძლივობა |
|---|---|---|---|
| თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი | 15:00 | სტუმარი | 45 წუთი |
| მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ახალციხე (მარჯანიშვილის თეატრი) | 15:00 | ქეთევანი | 90 წუთი (ორი მოქმედება) |
| ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი, ფოთი (მარჯანიშვილის თეატრი, მცირე სცენა) | 18:00 | ფარდის დაშვებამდე | 75 წუთი |
| პანტომიმის სახელმწიფო თეატრი | 18:00 | პროლოგი | 45 წუთი |
| თავისუფალი თეატრი | 19:00 | საძალლე | 90 წუთი (ერთი მოქმედება) |
| მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი | 20:00 | R + J | 170 წუთი (ორი მოქმედება) |
| შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ზუგდიდი (მარჯანიშვილის თეატრის დიდი სცენა) | 20:30 | თავისუფლების შუაღამე | 75 წუთი (ორი მოქმედება) |
| ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი | 21:00 | ფსიქოზი 4;48 | 130 წუთი (ერთი მოქმედება) |

# TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE
## SHOWCASE PROGRAM 2012 / 16-17-18-19 SEPTEMBER
## Tbilisi, Georgia

### 16th September, Sunday

| Theatre / Venue | Time | Performance | Duration |
|---|---|---|---|
| Shota Rustaveli State Drama Theatre (Experimental Stage) | 13:00 | Ivan And The Dogs | 60 minutes Without Intermission |
| Fingers Theatre / Marjanishvili Theatre (Small Stage) | 15:00 | Wandering Soul | 50 minutes Without Intermission |
| Shota Rustaveli State Drama Theatre (Small Stage) | 15:00 | Vive Bouchon! | Showcase Premiere! |
| Sandro Akhmeteli Drama Theatre | 18:00 | Vazha Recommended By Georgian Critics' Association | 80 minutes Without Intermission |
| Alexander Griboedov State Russian Theatre (Big Stage) | 18:00 | ·Holstomer: The Story Of A Horse Recommended By Georgian Critics' Association | 90 minutes Without Intermission |
| Shota Rustaveli State Drama Theatre (Big Stage) | 19:45 | After Magritte Recommended By Georgian Critics' Association | Showcase Premiere! |
| Royal District Theatre | 19:00 | Miss Julie Recommended By Georgian Critics' Association | 90 minutes Without Intermission |
| Tumanishvili Film Actors' Studio Theatre | 20:00 | Avalanche | 70 minutes Without Intermission |
| Tbilisi Vaso Abashidze Music And Drama State Theatre | 23:00 | Carmen Recommended By Georgian Critics' Association | 45 minutes Without Intermission |

### 17th September, Monday

| Theatre / Venue | Time | Performance | Duration |
|---|---|---|---|
| Shota Rustaveli State Drama Theatre (Experimental Stage) | 13:00 | Mad World | 75 minutes Without Intermission |
| Iliauni Theatre | 17:00 | Dreams Of Repentance Recommended By Georgian Critics' Association | 130 minutes With One Intermission |
| Lado Meskhishvili State Drama Theatre, Kutaisi / Shota Rustaveli Theatre And Film Georgian State University, Tbilisi | 17:00 | Profitable Postmystic | 100 minutes Without Intermission |
| Independent Project - Alexander Griboedov State Russian Theatre (Big Stage) | 18:00 | Mistic Night With Sergey Esenin, Or A Jump Inside | 75 minutes Without Intermission |
| Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big Stage) | 20:00 | As You Like It Recommended By Georgian Critics' Association | 120 minutes With One Intermission Showcase Premiere! |
| Naked Theatre | 22:30 | The Guest | Showcase Premiere! |

## 18th September, Tuesday

| Theatre / Venue | Time | Performance | Duration |
|---|---|---|---|
| Konstantine Gamsakhurdia State Drama Theatre, Sokhumi / Marjanishvili Theatre, (Small Stage) | 12:00 | Yesterday's People??? Recommended By Georgian Critics' Association | 130 minutes With One Intermission |
| Ivane Machabeli State Drama Theatre, Tskhinvali / The National Music Center Of Georgia | 15:00 | Nobleman?! Recommended By Georgian Critics' Association | 75 minutes Without Intermission |
| Alexandre Tsutsunava State Drama Theatre, Ozurgeti / Sandro Akhmeteli Drama Theatre | 18:00 | The Naphthalene | 75 minutes Without Intermission |
| Giorgi Eristavi State Drama Theatre / Shota Rustaveli State Drama Theatre (Experimental Stage) | 18:00 | Snow In September | 110 Minutes Without Intermission |
| Liberty Theatre | 19:00 | A Clockwork Orange Recommended By Georgian Critics' Association | 135 minutes With One Intermission |
| Royal District Theatre | 20:00 | Strip-tease Recommended By Georgian Critics' Association | 80 minutes Without Intermission |
| Tumanishvili Film Actors' Studio Theatre | 21:00 | The Clean House Recommended By Georgian Critics' Association | 80 minutes Without Intermission |

## 19th September, Wednesday

| Theatre / Venue | Time | Performance | Duration |
|---|---|---|---|
| Nodar Dumbadze Tbilisi State Central Children Theatre | 15:00 | The Guest | 45 minutes Without Intermission |
| Meskheti State Drama Theatre, Akhaltsikhe / Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big Stage) | 15:00 | Ketevan | 90 minutes With One Intermission |
| Valerian Gunia State Drama Theatre, Poti / Kote Marjanishvili State Drama Theatre (Small Stage) | 18:00 | Until The Curtain Goes Down | 75 minutes Without Intermission |
| Pantomime State Theatre | 18:00 | Prologue Recommended By Georgian Critics' Association | 45 minutes Without Intermission |
| Liberty Theatre | 19:00 | The Kennel Recommended By Georgian Critics' Association | 90 minutes Without Intermission |
| Tumanishvili Film Actors' Studio Theatre | 20:00 | R + J Recommended By Georgian Critics' Association | 170 minutes With One Intermission |
| Shalva Dadiani State Drama Theatre, Zugdidi / Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big Stage) | 20:00 | Midnight Of Freedom | 75 minutes With One Intermission |
| Tbilisi Vaso Abashidze Music And Drama State Theatre | 21:00 | Psychosis 4:48 Recommended By Georgian Critics' Association | 130 minutes With One Intermission |

## ფესტივალის გუნდი / FESTIVAL TEAM

ეკატერინე მაზმიშვილი
ფესტივალის დირექტორი
Ekaterina Mazmishvili
Festival Director
eka@tbilisiinternational.com

თინათინ კალატოზიშვილი
დირექტორის თანაშემწე
საერთაშორისო პროგრამის კოორდინატორი
საერთაშორისო პროგრამა „NEW"-ს
კოორდინატორი
Tinatin Kalatozishvili
Assistant for Director
International Program Coordinator
Coordinator for International Program NEW
tina@tbilisiinternational.com

ნატო ებანოიძე
რეკლამისა და ბეჭდვითი
პროდუქციის კოორდინატორი,
ღონისძიებებისა და პროექტების
მენეჯერი
Nato Ebanoidze
Head of Advertising and Publishing, Photo and
Video Team Coordinator, Events and Projects
Management
nato@tbilisiinternational.com

თამუნა ლალიაშვილი
პრესასთან და ტელევიზიასთან
ურთიერთობის მენეჯერი
ქართული სპექტაკლების პროგრამის
კოორდინატორი
Tamuna Laliashvili
Coordinator for Press and Television Projects
tamuna@tbilisiinternational.com

ქეთევან ლებანიძე
ტექნიკური ადმინისტრატორი
Ketevan Lebanidze
Technical Administrator
technical@tbilisiinternational.com

არჩილ დვალიშვილი
ტექნიკური დირექტორი
Archil Dvalishvili
Technical Director
technical@tbilisiinternational.com

მზია სხირტლაძე
მთავარი ბუღალტერი
Mzia Skhirtladze
Accountant
mzia@tbilisiinternational.com

რუსუდან ზირაქიშვილი
იურისტი
Rusudan Zirakashvili
Lawyer
rusudan_zirakashvili@yahoo.com

ვანო თოდრია
ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის
მენეჯერი
Vano Todria
Head of logistics
logistic@tbilisiinternational.com

თეონა მაღალაშვილი
ქართული პროგრამის
კოორდინატორის ასისტენტი,
ვებ-გვერდის ადმინისტრატორი,

Teona Magalashvili
Georgian Show Case Coordinator Assistant
Web-Site Administrator

teona@tbilisiinternational.com

---

ნუცა ბურჯანაძე
საერთაშორისო პროგრამის კოორდინატორი
ადმინისტრაციული მენეჯერი

Nutsa Burjanadze
International program coordinator
Administrative manager

nutsa@tbilisiinternational.com

---

ნინო კანტიძე
რედაქტორი

Nino Kantidze
Texts Editor

---

ნიკა მაჩაიძე
ფესტივალის იმიჯისა და
კლიპის ავტორი

Nika Machaidze
Author of image and clip

იდეის ავტორები:
დავით ცხადაძე
ლევან წულაძე

Idea:
David Ckhadadze
Levan Tsuladze

---

სარეკლამო კომპანია
კრეატორი
დიზაინი და ბეჭდვა

Advertising Company
CREATOR
Design and Print

---

ვებ-დიზაინი და ტექნიკური
უზრუნველყოფა:
კონსტანტინე ვარვარიძე
ლაშა კვანტალიანი

Web-Deisgn and technical support:
Konstantine Varvaridze
Lasha Kvantaliani
lk@helix.ge

---

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მთარგმნელობითი ცენტრი
მთარგმნელები:
ქეთი კვანტალიანი
მაკო ყანჩელაშვილი
სალომე ბუბუტეიშვილი

Translation done by Ilia State University
Translation Center
Qeti Kvantaliani
Mako Khanchelashvili
Salome Bubuteishvili

# შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

თბილისი

თეატრის შესახებ:
რუსთაველის თეატრი 131 წლისაა. იგი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთელის მიერ აღდგენილი პროფესიული დრამატული თეატრის მემკვიდრეა. პირველი სეზონი 1879 წლის 1 სექტემბერს გაიხსნა ბარბარე ჯორჯაძის კომედიით „რას ვეძებდით და რა ვჰპოვეთ". 1921 წლის 25 ნოემბერს თეატრს შოთა რუსთაველის სახელი ეწოდა. რუსთაველის თეატრის საინტერესო ისტორიას ქმნიდნენ დიდი რეჟისორები:
კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, შოთა აღსაბაძე, დოდო ანთაძე, დოდო ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, არჩილ ჩხარტიშვილი, გიზო ჟორდანია, თემურ ჩხეიძე. რობერტ სტურუას სპექტაკლებმა – „კავკასიური ცარცის წრე" და „რიჩარდი III" თეატრს მსოფლიო აღიარება მოუტანა. რუსთაველის თეატრს ტრიუმფალური გასტროლები ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის – ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და შვეიცარიაში, მექსიკაში, ავსტრალიაში, ფინეთსა და ისლანდიაში. იგი ედინბურგის, ავინიონის, ათენის, ადელაიდას, რეიკიავიკის, იერუსალიმის ფესტივალების მონაწილეა. დღეს თეატრს აქვს სამი სცენა – დიდი, მცირე და ექსპერიმენტული. თეატრი თანამშრომლობს ახალგაზრდა შემოქმედებთან, ექსპერიმენტული სცენა და სარეპეტიციო დარბაზი მთლიანად მათ ეთმობათ.

მმართველი – ზაალ ჩიქობავა

საკონტაქტო პირი:
ელენე (ბაკა) კვირცხალია (საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი)
mob: +995 (577) 473 438;
Fax: +995 322 933 818,
E-mail: elene.baka@rustavelitheatre.ge;

www.rustavelitheatre.ge

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. 17

# Shota Rustaveli State Drama Theatre
## Tbilisi

About Theatre:
Rustaveli State Drama Theater also known as Rustaveli National Theatre was originally founded in 1879 as an "Artists' Society." Internationally acclaimed Shota Rustaveli State Drama Theatre is 130 years old. With its great company and the theater made a name to Georgian Theatre with its performances and successful tours in many countries in the world. Rustaveli National Theatre, is the home of the largest classical repertory theatre in Georgia and has set benchmarks for the production of Shakespeare, Molière, also Brecht and other masters of the 20th-century. Rustaveli National Theatre is considered to be the country's main, most popular and prestigious theatrical venues, where the most prominent and talented artists and directors are engaged.

General Manager: Zaal Chikobava

Contact Persons: Elene (Baka) Kvirtskhalia
(Head of PR Department)
Tel.:+995 322 93 18 94
Mob.:+995 (577) 473 438
E-mail: elene.baka@rustavelitheatre.ge;

www.rustavelitheatre.ge

# შეშლილი სამყარო

## იუკიო მისიმასა და პიტერ ვაისის მიხედვით



ინსცენირების ავტორი და რეჟისორი – ნინო ლიპარტიანი
დამდგმელი მხატვარი – თემურ ნინუა
მხატვარი – ქეთი ნადიბაიძე
კომპოზიტორი – მიშა მდინარაძე
ქორეოგრაფი – კახა ბაკურაძე
რეჟისორის თანაშემწე – რუსუდან ბარბაქაძე

მონაწილეობენ:
ნანუკა ხუსკივაძე, თათული დოლიძე, მანანა აბრამიშვილი, დარეჯან ხარშილაძე, რუსუდან მაყაშვილი, ზურა ინგოროყვა, ლელა ახალაია, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, ირაკლი სანაია, მამუკა ლორია, ედმონდ მინაშვილი, ბექა სონღულაშვილი

პრემიერა შედგა 2011 წელს
ხანგრძლივობა: 75 წუთი
წარმოდგენა ერთ მოქმედებად

სპექტაკლის შესახებ:
დე სადის ოჯახის ისტორია ამბოხებული ქალაქის ფონზე ვითარდება. ოჯახის უფროსს – ქალბატონ დე მონტრეს, რომელიც საზოგადოებრივი აზრისა და მორალის დამცველად გვევლინება, ცხოვრებამ საშინელი გამოცდა მოუწყო – სიძედ გარყვნილი ურჩხული მარკიზ დე სადი მოუვლინა. მონტრეს უფროსი ქალიშვილი რენე ორ ცეცხლშუაა. რა ქნას, უერთგულოს მეუღლეს და ამით დაემორჩილოს ღვთის ნებას თუ დადგეს მორალის დამცველი დედის გვერდით და იბრძოლოს სახელის გადასარჩენად. რენემ ჭეშმარიტების საძიებლად ტაძარს მიაშურა.
ბოროტებასა და სიკეთეს შორის გავლებული ზღვარი იმდენად უხილავია, რომ ჩვენ ვერასდროს ვიპოვით ჭეშმარიტებას, საკუთარი გამოცდილებით მოპოვებული „ჭეშმარიტების“ გარდა.



# Mad World

## Yukio Misima and Peter Whise

Director and Author of stage version - Nino Lipartiani
Production Designer - Temur Ninua
Designer - Keti Nadibaidze
Composer – Misha Mdinaradze
Choreographer - Kakha Bakuradze
Assistant to director - Rusudan Barbakadze

Cast:
Nanuka Khuskivadze, Tatuli Dolidze, Manana Abramishvili, Darejan Kharshiladze, Rusudan Makashvili, Zura Ingorokva, Lela Akhalaia, Sandro Mikuchadze-Ghaghanidze, Irakli Sanaia, Mamuka Loria, Edmond Minashvili, Beka Songhulashvili

Premiere was held in 2011

Duration: 75 minutes, no intermission

About Performance:
A story about De Sad's family develops through the city revolt. The head of the family, Mrs. De Montre, who seems to be a guard of morality, had a big challenge in her life: She had an extremely depraved son-in-law. Montre's elder daughter is between two fires. Should she be devoted to her husband and follow god's will or stand by her mother's side and protect her reputation. Rene went to church to find the truth. The line stretched between evil and good is so hard to notice that very often we are not able to find the truth except the one we gain from our own experience.

ტომ სტოპარდი

# მაგრიტის შემდეგ



თარგმანი ლაშა ბუღაძისა
რეჟისორი – გიორგი თავაძე
მხატვარი – მირიან შველიძე
მუსიკალური გაფორმება ია საკანდელიძისა და გიორგი თავაძის
ქორეოგრაფი – მარიამ ალექსიძე
რეჟისორის თანაშემწე – ციცინო გვაზავა

მონაწილეობენ:
ნანა ფაჩუაშვილი, ნინო კასრაძე, ლევან ხურცია, გიორგი ბარბაქაძე, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი, გელა თავბერიძე

პრემიერა გაიმართება საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული პროგრამის ფარგლებში.

სპექტაკლის შესახებ:
„მაგრიტის შემდეგ“ ტომ სტოპარდის ერთ-ერთი ძალზედ საინტერესო პიესაა. მოქმედება ვითარდება ჩვეულებრივ ინგლისურ ოჯახში. პერსონაჟები ახალი დაბრუნებულები არიან ცნობილი ბელგიელი სიურეალისტი მხატვრის – რენე მაგრიტის გამოფენიდან. მათ მოულოდნელად სამძებრო პოლიციის ინსპექტორ – ფუტი და კონსტებლი – ჰოლმსი ეწვევიან. მაყურებელი, მართლაც რომ, სიურეალისტური გამოძიების მოწმე ხდება.

Tom Stoppart

# After Magritte

Translation - Lasha Bughadze
Director - Giorgi Tavadze
Designer - Mirian Shvelidze
Musical directors - Ia Sakandelidze and Giorgi Tavadze
Choreographer - Mariam Aleksidze
Assistant to director - Tsitsino Gvazava

The Cast and Performers:
Nana Pachuashvili, Nino Kasradze, Levan Khurtsia, Giorgi Barbakadze, Irakli Sanaia, Beka Songhulashvili, Gela Tavberidze

Showcase Premiere

About Performance:
"Tom Stoppard's "After Magritte" is exceptionally interesting play. The plot develops in an ordinary English family. The characters have just returned from exhibition of famous Belgian surrealist painter-René Magritte. After a while, the police inspectors Foot and Constable Holmes pay a visit. Audience witnesses a true surrealist investigation."

ჰეტი ნეილორი

# ივანე და ძაღლები



თარგმნა დავით გაბუნიამ
რეჟისორი – ელენ მაკდუგალი
მხატვარი – ნაომი უილკინსონი
მუსიკა და ხმის ეფექტები დენ ჯონსისა
რეჟისორის თანაშემწე – მარინა ამაღლობელი
მონაწილეობს: შაკო მირიანაშვილი

პრემიერა შედგა 2011 წელს
ხანგრძლივობა: 60 წუთი

წარმოდგენა ერთ მოქმედებად

სპექტაკლის შესახებ:
პიესის მოქმედება პოსტსაბჭოთა რუსეთში ვითარდება და გვიამბობს ერთი მარტოსული ბიჭის ისტორიას, რომელიც ძაღლებთან იზრდება.
მთავარი გმირი – ივანე ოჯახს მიატოვებს და სახლიდან წასვლის შემდეგ ქუჩაში იწყებს ახალ ცხოვრებას. ძალიან მალე ივანე ხვდება, რომ შიმშილი და სიცივე ერთადერთი პრობლემა არ არის ამ ცხოვრებაში. ადამიანებმა გარიყეს იგი და მისი სიცოცხლე ახლა მხოლოდ თეთრი ძაღლსა და მისი ხროვის ხელშია.
პიესა ნამდვილ ამბავზეა აგებული და მოგვითხრობს ივანე მიშუკოვის ისტორიას. სამწუხაროდ, ივანე გამონაკლისი არ არის. დღესაც უამრავი ბავშვია შეურაცხყოფისა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი.



Hattie Naylor

# Ivan and the dogs

Translation - David Gabunia
Director: Ellen McDougall
Designer: Naomi Wilkinson
Composer or Music director:
Dan Jones
Assistant to Director -
Marina Amaghlobeli

Cast: Shako Mirianashvili

Premiere was held in 2011

Duration: 60 minutes,
no intermission

About Performance:
The play is set in post-Soviet Union Russia, and explores one lonely boy's relationship with, and initiation into a pack of wild dogs. Beginning in Russia in 1996,Ivan and the Dogs follows Ivan after he flees his home and family to start a new life on the streets. However Ivan soon realizes that the cold and starvation are the least of his problems as other children and adults betray and exclude him, but hope eventually arrives in the shape of a white dog and her pack. Based on the true story of Ivan Mishukov, who fled his home at the age of four to escape his abusive stepfather and survive on the streets, Naylor's Ivan and the Dogstakes an uncompromising look at life for homeless children in Russia in the 1990s. While the circumstances of his self-imposed exile may seem extreme, Ivan's memories of domestic abuse, assault and starvation paint an incredibly bleak and candid picture of life for everyday people in Russia after the fall of the Soviet Union.

ჟან დელი,
ჟერალდ სიბლეირასი

# გაუმარჯოს ბუშონს



თარგმანი მალხაზ ასლამაზიშვილისა და ალექსანდრე ბრაილოვსკის
რეჟისორი – იოსებ ბაკურაძე
მხატვარი – ავთო მოდებაძე
მუსიკალური გაფორმება ალექსანდრე ნიკოლაძისა და ია საკანდელიძის
ქორეოგრაფი – კახა ბაკურაძე
რეჟისორის თანაშემწე – რუსუდან ბარბაქაძე
მონაწილეობენ:
გაგი სვანიძე, ნიკოლოზ ქაცარიძე, ქეთი სვანიძე, ზუკა პაპუაშვილი

პრემიერა გაიმართება საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული პროგრამის ფარგლებში.
წარმოდგენა ერთ მოქმედებად

სპექტაკლის შესახებ:
პიესის მოქმედება საფრანგეთის ერთ პროვინციულ სოფელ ბუშონში მიმდინარეობს. ამ სოფლის პატივცემული მერი სიამაყით აცხადებს: „გაიხსენეთ, რას ნიშნავს ბუშონი – საცობს. ასე რომ, ჩვენი ვალია, ყველა ნახვრეტს მოვერგოთ!“ თუმცა, ჩვენს თვალწინ, დამოუკიდებლობის მაძიებელი ბუშონი სეპარატისტული რეგიონების სიმბოლოდ იქცევა და სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ევროკავშირს, ორგანიზაციას, რომლის სუფსიდიებითაც ცხოვრობს.



Jean Dell, Gérald Sibleyras

# Vive Bouchon!

Translation -
Malkhaz Aslamazishvili and
Alexandre Brailovsky
Director - Ioseb Bakuradze
Designer - Avto Modebadze
Musical directors - Alexandre
Nikoladze and Ia Sakandelidze
Choreographer -
Kakha Bakuradze
Assistant to director -
Rusudan Barbakadze

Cast:
Gagi Svanidze, Nikoloz
Katsaridze, Keti Svanidze,
Zuka Papuashvili

Showcase Premiere

About Performance:
Everything happens in the province of village Bouchon. One day his Excellency Mayor of the village with great pride announces the following: “Remember, what the word Bouchon means – it is a cork. So, it is our duty to fit in each hole!”. But in front of our eyes the seeker of democracy becomes a symbol of separatist regions and causes great problems to the European Union.

# კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

თბილისი

თეატრის შესახებ:
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი რვა ათეული წელია მოღვაწეობს. 1926 წელს კოტე მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრიდან წავიდა და ქუთაისში II ქართული სახელმწიფო თეატრი შექმნა. ეს თეატრი 1928 წლის 3 ნოემბერს გაიხსნა კოტე მარჯანიშვილის ცნობილი სპექტაკლით „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, მას მოჰყვა „ცხვრის წყარო“, „ურიელ აკოსტა“ და სხვა. მთავრობის 1930 წლის დადგენილებით II ქართული სახელმწიფო თეატრი თბილისში გადმოიყვანეს. მარჯანიშვილმა, არსებულ ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნა თეატრი, სადაც ანტიკური, კლასიკური და თანამედროვე დრამა თანაბრად იდგმებოდა. 1933 წელს, დიდი რეჟისორის გარდაცვალების შემდეგ, თეატრს კოტე მარჯანიშვილის სახელი ეწოდა, ხოლო 1966 წელს აკადემიურობა მიენიჭა. მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ თეატრს სათავეში ჩაუდგნენ მისი მოწაფეები: უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, დოდო ანთაძე და დავით კაკაბაძე. წლების მანძილზე აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები და კომპოზიტორები. 2006 წლიდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ახალი თაობის ერთ-ერთი აღიარებული რეჟისორი ლევან წულაძე. ამ მოკლე ხანში თეატრში 30-ზე მეტი სპექტაკლი დაიდგა. ყოველი პრემიერა დიდი მოვლენაა თბილისის კულტურულ ცხოვრებაში. თეატრს წარმატებული გასტროლები ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 2008 წლიდან თეატრს აქვს მეორე სცენა – „სხვენი”.

სამხატვრო ხელმძღვანელი – ლევან წულაძე
მმართველი – ეკატერინე მაზნიაშვილი

Tel/fax: + 995 322 95 40 01 (მდივანი)
Tel: + 995 322 95 35 82 (საინფორმაციო ცენტრი)
საკონტაქტო პირი: თინათინ კალატოზიშვილი
(მმართველის თანაშემწე)
Tel: +9955 97 51 07 57
E-mail: info@marjanishvili.ge
www.marjanishvili.com

მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 8

# Kote Marjanishvili State Drama Theatre

## Tbilisi

About Theatre:

Kote Marjanishvili State Drama Theatre was founded by the director and theatre reformer Kote Marjanishvili. Famous for its actors company and stage directors, the theatre after renovation returned to its audiences with a new artistic director, Levan Tsuladze, one of the forces behind the new generation of theatre in Georgia. Since 2006 the Marjanishvili has gone on to produce more than 40 productions, both classical and modern.

Artistic Director: Levan Tsuladze
General Manager: Ekaterina Mazmishvili

Contact Person: Ekaterina Mazmishvili
(General Manager)
E-mail: eka@marjanishvili.com
Tel/fax: + 995 322 95 40 01 (secretary)
Tel: + 995 322 95 35 82
(Information Department)
www.marjanishvili.com
Address: Tbilisi, Agmashenebeli str. 8



უილიამ შექსპირი

# როგორც გენებოთ

რეჟისორი – ლევან წულაძე
ადაპტირების ავტორი – ლაშა ბუღაძე
კომპოზიტორი – ვახტანგ კახიძე
მუსიკალური გაფორმება ზურაბ გაგლოშვილის
ქორეოგრაფი – გიორგი მარღანია
კოსტიუმების მხატვარი – ნინო სურგულაძე
რეჟისორის თანაშემწე – ნინო ჟორჟოლიანი

მონაწილეობენ:
მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი

პრემიერა შედგა შექსპირის ფესტივალზე „მსოფლიო გლობუსში“ 2012 წლის 18 და 19 მაისს
ხანგრძლივობა: 120 წუთი
წარმოდგენა ორ მოქმედებად

სპექტაკლის შესახებ:
„როგორც გენებოთ“ – ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მტრობენ და იყვარებენ ერთმანეთს ღვიძლი ძმები, როგორ მოულოდნელად იცვლება ადამიანთა ცხოვრება ერთი შეხედვით ამოუცნობი მოვლენების გამო; ამბავი ტყეში მიმოფანტული წმინდანების, შეყვარებულების, გარეული მხეცებისა და კაცად გადაცმული თამამი ქალწულების შესახებ. მაშინ, როდესაც ქართველები ქართულ ენაზე აამეტყველებენ შექსპირს, გლობუსი ერთ დიდ უსიერ ტყედ გადაიქცევა – გაჩერდება დრო და აღარაფერი იქნება მნიშვნელოვანი, გარდა იმ ამბისა, რომელშიც შექსპირი შეგვიტყუებს, შეგვიტყუებს, როგორც ტყეში. ამბობენ, რომ ეს პიესა, ერთი მხრივ, ყველაზე „არაშექსპირული“ პიესაა, მეორე მხრივ კი, თითქოს და შექსპირის ყველა მომდევნო პიესის საწყისი აქ არის გაბნეული – თითქოს დრამატურგის მომავალ პიესათა ვარიაციაა. აქ აღმოაჩენთ ჰამლეტის



ორეულებს, „ზაფხულის ღამის სიზმრის“ მელანქოლიურ გმირებსა და პროსპეროს მსგავს იდუმალ, ბრძენ და ნახევრადღვთაებრივ არსებებს. ეს პიესა ერთდროულად შუასაუკუნეების მისტერიასაც მოგვაგონებს, ქალაქის მოედანზე გათამაშებულ თოჯინურ ბუფონადასაც და ფილოსოფიურ თუ ფსიქოლოგიურ დრამასაც. ამ პიესიდან, როგორც სარკიდან, ისე მოჩანს არისტოფანე, დანტე, და ასე განსაჯეთ, ჩეხოვიცა და ბრეხტიც კი.

პრესა:
თუ საქართველოს სხვა თეატრების დონე ოდნავ მაინც უახლოვდება მარჯანიშვილის თეატრისას, მაშინ თეატრის კრიტიკოსის პროფესია ამ ქვეყანაში უდავოდ ყველაზე სანატრელად უნდა მივიჩნიოთ. ამ თეატრის განუმეორებელი წარმოდგენის დასასრულს დარბაზი ფეხზე ადგა (თუმცა, მაყურებელთა ერთი ნაწილი მანამდეც ფეხზე იდგა) და დასს ასე მოუწყო ოვაცია. ქართველების მიერ წარმოდგენილი არდენის ტყე გახლავთ მომცრო, სახელდახელო სცენა – თეატრი თეატრში. მთელი წარმოდგენის მსვლელობისას მსახიობები კულისებიდანაც მოჩანან: ხედავ მათ მეგობრულ საუბრებს, საჭადრაკო პარტიებს, კინკლაობასა თუ ბაქიობას. ეს თან გხიბლავს და თან არც უადგილოა, რადგან „როგორც გენებოთ“ ნაწილობრივ არის რეალობისთვის თავის დაღწევის ცდა, როგორც თვითშეცნობის საშუალება.

ქეით კელავეი „გარდიანი“, 22.05.2012 წელი

Kate Kellaway As You Like It - review
THE GUARDIAN

William Shakespeare

# As You Like It



Adapted by Lasha Bughadze
Director: Levan Tsuladze
Costumes Designer: Nino Surguladze
Composer: Vakhtang Kakhidze
Music by Zurab Gagloshvili
Choreographer: Giorgi Marghania
Assistent to Director: Nino Zhorzholiani

The Cast:
Manana Kozakova , Nato Kakhidze , Ketevan Shatirishvili, Ketevan Tskhakaia, Nata Murvanidze, Tamar Bukhnikashvili, Nikoloz Tavadze, Malkhaz Abuladze , Beso Baratashvili, Davit Khurtsilava,Nika Kuchava, Zurab Berikashvili, Roland Okropiridze, Onise Oniani

Duration: 120 minutes, with one intermission

Premiere was held in Shakespeare's GLOBE, Festival "Globe To Globe", on the 18th May, 2012.

About Performance:
"AS YOU LIKE IT" - the Shakespeare's story about the enmity and love between the real brothers; the story about how suddenly life can change under the secret, at a glance, phenomenon; this is a story about the saints, lovers, wild animals and brave young women scattered in deep forest. And exactly by the time, when Georgians perform Shakespeare in Georgian, the Globe will turn into one dense and deep forest - time will stop and there will be nothing more important, than the story in which Shakespeare lures us, lures as forest draws us. AS YOU LIKE IT, from one side is known



as the mostly "not-Shakespeare" play, while from other side, it is the source of all of his next plays – as if it is the variation of the future plays of the writer. Here, you can see not only the replica of Hamlet, but the melancholic heroes of the Mid Summer Nights Dream, silent, wise and semi-divine creatures as Prospero. This play reminds us about the mysteries from medieval centuries, as well as buffoonery performed in the city centers and philosophical or psychological dramas as well. From the play, as from the mirror, one can see Aristophanes, Dante and even Chekhov and Brecht.

Press:

If all the theatre in Georgia comes anywhere close to the standard of the Marjanishvili company, then the job of theatre critic there must be the most covetable in the land. At the end of its irresistible As You Like It, they got a standing ovation (at least from those not on their feet already). Its conception of Arden is of a small, makeshift stage – theatre within theatre. Throughout, you see the cast offstage: their camaraderie, chess games, squabbles, vanities. It's charming but also fitting, because As You Like It is partly about escape as a means to self-knowledge.

Kate Kellaway
As You Like It – review
THE GUARDIAN

http://www.guardian.co.uk/stage/2012/may/22/as-you-like-it-globereview?fb=native&CMP=FBCNETTXT9038
http://bloggingshakespeare.com/year-of-shakespeare-as-you-like-it
http://www.guardian.co.uk/stage/2012/may/22/as-you-like-it-globe-review

# თითების თეატრი

## თბილისი

თეატრის შესახებ:
1998 წელს ქ. ბათუმში ბავშვთა ხელოვნების სტუდია „მთიებში“, (ხელმძღვანელი ნ. ნიჟარაძე) რეჟისორ ბესო კუპრეიშვილის მიერ რამდენიმე ეტიუდის წარმატებით განხორციელების შემდეგ თითების თეატრის შექმნის იდეა ჩაისახა. 1991 წელს ბათუმში „მსახიობის სახლში“ შედგა მოზარდთა თეატრ-სტუდიის „99+2“ პრეზენტაცია წარმოდგენით „ექსტრავაგანსა“. სპექტაკლი წარმოდგენილი იყო კოსტუმირებული თითების საშუალებით, რამაც შთამბეჭდავი ზემოქმედება მოახდინა მაყურებელზე თავისი ორიგინალურობით, სწორედ ამიტომ თეატრი-სტუდია „თითების თეატრად“ მოინათლა და, მიუხედავად შემდგომში განხორციელებული სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების წარმოდგენებისა, დღემდე ამ სახელს ატარებს, ხოლო პირველი სპექტაკლი „ექსტრავაგანსა“ მისი სავიზიტო ბარათია. 2006 წლის 6 თებერვალს გაიმართა „თითების თეატრის“ ოფიციალური პრეზენტაცია თბილისში.
2007 წლიდან დღემდე „თითების თეატრი“ რეპეტიციებსა და სპექტაკლებს მართავს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში.

თეატრის ხელმძღვანელი – ბესო კუპრეიშვილი

საკონტაქტო პირი: თეონა მაღალაშვილი (კოორდინატორი)
ტელ.: +9955 79 15 35 22
E-mail: teo_teona@yahoo.com
www.fingers-theatre.net

მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ 8.

# Fingers Theatre

## Tbilisi

About Theatre:
With recognition abroad, after 17 years of activities in Batumi, second city in Georgia, where the theater was born, in 2006 “Fingers” moved to Tbilisi in 2006. Since 2007 till present the “Fingers Theatre” works in Marjanishvili State Drama Theatre.

Artistic Director: Beso Kupreishvili

Contact Person: Teona Magalashvili (Coordinator),
Tel.: +9955 79153522
E-mail: teo_teona@yahoo.com

Address: Tbilisi, Marjanishvili Str 8.

www.fingers-theatre.net

# ექსტრავაგანსა HD



რეჟისორი – ბესო კუპრეიშვილი
მხატვარი – ვახტანგ ქორიძე
ქორეოგრაფი – გია მარღანია
მუსიკალური ადაპტირება
ზურაბ გაგლოშვილისა

მონაწილეობენ:
ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა

ხანგრძლივობა: 55 წუთი
წარმოდგენა ერთ მოქმედებად

სპექტაკლის შესახებ:
ეს არის კოსტუმირებული სპექტაკლი, აგებული სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციულ ცეკვებზე. თითო ეტიუდის ხანგძლივობა 2 - 4 წუთია. ამ მოკლე ხანში მაყურებელს საშუალება ეძლევს გაიზიაროს ამა თუ იმ ქვეყნის ხალხთა ტრადიციები და ცეკვები. სპექტაკლში გამოყენებულია ტელეკამერე-ბი,რომელთა საშუალებითაც მაყურებელი თვალ-ყურს ადევნებს კულისებში მსახიობების მომზადე-ბის პროცესს.
ტექნიკის გამოყენებით სპექტაკლის მასშტაბი გაიზარდა და მისი თამაში უკვე დიდ დარბაზშიც შეიძლება.
სპექტაკლი არავერბალურია და მისაღებია ნებისმიერი ასაკის მაყურებლისათვის.



# Extravagansa HD

Director Beso Kupreishvili
Designer Vakhtang Koridze
Choreographer Gia Marghania
Music Adapted By Zurab Gagloshvili

Cast:
Zaal Kakabadze, Teona Magalashvili, Elene Pirtskhalava, Giorgi Mebagishvili,

Duration: 55 minutes, without intermission

About Performance:
This is a performance, based on different peoples' national dances. Each etude longs from 2 to 4 minutes. In this short period of time the spectators are given a chance to feel the traditions of those people. Cameras are being used during the performance which gives the audience an opportunity to observe the casts' preparation. The performance is none verbal and is acceptable for the people of any age and nationality.

# მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი

თბილისი

თეატრის შესახებ:
1978 წლის 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, ძველი კონოსტუდიის ბაზაზე სრულიად ახალმა თეატრმა, რომელსაც თავდაპირველად „კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო“ ეწოდა, თავისი საკუთარი სცენა გახსნა.
თუმცა არსებობა უფრო ადრე, 1975 წლის 5 სექტემბრიდან დაიწყო. თეატრის დამაარსებელი და უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ დიდი რეჟისორი და არაჩვეულებრივი პედაგოგი მიხეილ თუმანიშვილი (1921-1996). ამჟამად თეატრი მიხეილ თუმანიშვილის სახელს ატარებს.
ოცდაათწლიანი არსებობის განმავლობაში მიხეილ თუმანიშვილმა და მისმა მოწაფეებმა 70-ზე მეტი სპექტაკლი დადგეს და აღიარება მოიპოვეს არა მხოლოდ საქართველოში, საზღვარგარეთაც. თუმანიშვილის „დონ ჟუანი“ ედინბურგის საუკეთესო ათეულშია შესული. ეს ის ლეგენდარული სპექტაკლია, რომელზეც პიტერ ბრუკმა თქვა: „თუ გსურთ იხილოთ ნამდვილი მოლიერი, წადით საქართველოში და ნახეთ „დონ ჟუანი“. შექსპირის I საერთაშორისო ფესტივალზე ლონდონში საუკეთესო სპექტაკლად თუმანიშვილის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ აღიარეს.
დღეს თუმანიშვილის სახელობის თეატრში მისი მოწაფეები მოღვაწეობენ, დასის ძირითადი ნაწილი დიდი რეჟისორისა და პედაგოგის აღზრდილი მსახიობები არიან.

მმართველი – ზურაბ გეწაძე

საკონტაქტო პირი: მაია ოდიშარია
(მთავარი ადმინისტრატორი)
ტელ.: +995 32 2342899;
+955 91 61 52 23 (მობ.)
ფაქსი: +995 322 35 01 94
odishariamaiko@yahoo.com
www.tumanishvilitheatre.ge

მისამართი: თბილისი,
აღმაშენებელის გამზირი 164.

# Tumanishvili Film Actor's Studio Theatre

## Tbilisi

About Theatre:

Tumanishvili Film Actors' Studio Theatre has earned a high profile both within Georgia and the rest of the world. Founded in 1978 by the innovative Mikheil Tumanishvili, the repertory theatre is state-subsidized and maintains a permanent company, many of whom are students of famous Mikhail Tumanishvili - stage director and professor of Drama.

General Manager: Zurab Getsadze

Contact Person : Odisharia Maia
(Main Administrator),
+9955 91 61 52 23 (mobile)
E-mail: odishariamaiko@yahoo.com
Address: Tbilisi, David Agmashenebeli Str. 164,
Tel: +995 32 2342899 Fax: +995 322 35 01 94

www.tumanishvilitheatre.ge

სარა რული

# სუფთა სახლი



რეჟისორი – ნინი ჩაკვეტაძე
მხატვარი –
გიორგი უსტიაშვილი
ქორეოგრაფი – ანა წერეთელი

მონაწილეობენ: ნინო ბურდული, ეკა ჩხეიძე, სალომე მაისაშვილი, დარეჯან ხაჩიძე, ზაზა ვაშაყმაძე

პრემიერა შედგა 2012 წელს
ხანგრძლივობა: 80 წუთი
წარმოდგენა ერთ მოქმედებად

სპექტაკლის შესახებ:
ახალგაზრდა რეჟისორის ნინი ჩაკვეტაძის ამ სპექტაკლით თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიხსნა მეორე, მცირე სცენა, რომელიც საინტერესო ექსპერიმენტების მოლოდინში იქნება მუდამ.
ეს პიესა თანამედროვე ამერიკელი მწერლის სარა რულის ყველაზე საინტერესო ნამუშევრად არის მიჩნეული. ის პირველად 2004 წელს დაიდგა, 2005 წელს კი პულიცერის პრემია მიიღო. მას შემდეგ პიესა არაერთი თეატრის სცენაზე დაიდგა. ეს რომანტიკული კომედია, როგორც მას უწოდებენ, მოგვითხრობს იმ ადამიანებზე, რომლებმაც ყოველდღიურ ცხოვრებას სრულიად მოულოდნელი მიმართულება მისცეს და სიხარულისა და ბედნიერების განცდა სიკვდილის წინაშეც არ დაკარგეს.
მოქმედება ხდება პირობითად კონექტიკუტში, სადაც ექიმი ცოლ-ქმარი დაიქირავებს ბრაზილიელ მოსამსახურეს, რომელსაც იდეალური ანეგდოტის მოფიქრება უფრო ადარდებს, ვიდრე სახლის დალაგება. ყველაფერი მაშინ აირევა, როცა ქმარს შეუყვარდება კიბოთი დაავადებული ერთ-ერთი პაციენტი.



Sarah Ruhl

# The Clean House

Director Nini Chakvetadze
Designer Giorgi Ustiashvili
Choreography Ana Tsereteli

Cast:
Nino Burduli, Eka Chkheidze, Darejan Khachidze, Salome Maisashvili, Zaza Vashakmadze

Premiere was held in 2012

Duration: 80 minutes, without intermission

About Performance:
Often described as a romantic comedy, it was first time performed at Yale Repertory Theatre in 2004. Later in 2005 the play was awarded Pulitzer Prize and was staged in many theatres. The heroes of THE CLEAN HOUSE are trying to find joy and happiness despite of death. The atmosphere of joyfulness in the house of married couple is created by a Brazilian housekeeper, who is more interested to create jokes, rather than to clean the house. Everything is messed up when the husband gets in love with one of his patients.

თუნჯერ ჯუჯენოღლუ

# ზვავი



რეჟისორი – რუსუდან ბოლქვაძე
მხატვარი – ნინო ჩიტაიშვილი
მუსიკალური გაფორმება
ია საკანდელიძის
ქორეოგრაფი –
ზურა ბეგალიშვილი
მონაწილეობენ:
ლია კაპანაძე, რეზო თავართქილაძე, დარეჯან ხაჩიძე, გია აბესალაშვილი, ანი იმნაძე, გიორგი ყიფშიძე, ლაურა რეხვიაშვილი, ნიკა წერედიანი, გვანცა გურგენიშვილი, ანრი ბიბინეიშვილი

პრემიერა შედგა 2012 წელს
ხანგრძლივობა: 70 წუთი
წარმოდგენა ერთ მოქმედებად

სპექტაკლის შესახებ:
თანამედროვე თურქი მწერლის თუნჯერ ჯუჯენოღლუს ეს გახმაურებული პიესა საქართველოში, ევროპისა და ამერიკის ბევრ ქვეყანაში დაიდგა. მ.თუმანიშვილის თეატრალურ ტრადიციებზე აღზრდილი მსახიობი რუსუდან ბოლქვაძე ამჯერად რეჟისორის ამპლუაში მოგვევლინა და პიესა სრულიად განსხვავებული ფორმითა და კონცეფციით წარმოადგინა, რაც განსკუთრებით აღნიშნა თავად პიესის ავტორმაც. პიესას უცნაური მთავარი მოქმედი პირი ჰყავს – შიში! სოფელი ზვავსაშიშ მაღალმთიან ზონაში ცხოვრობს, სრულ სიჩუმეში, უმკაცრესი წესების და ჩვევების სამყაროში, რომელთა დამრღვევი სიკვდილით ისჯება, რადგან სჯობს გაიწიროს ერთი ადამიანი, ვიდრე მთელი სოფელი! ყოვლისმომცველი, დამთრგუნველი, გამანადგურებელი შიში დაეუფლა ხალხს, მრავალი თაობა დაიმონა, გაანადგურა მათი გრძნობები სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილში.

პრესა:
„...ეს სპექტაკლი ჩემი პიესის სხვა დადგმათა შორის საუკეთესო სამეულშია... მომეწონა ინტერპრეტაცია... მსახიობები... შენარჩუნებულია ჩემი მთავარი სათქმელი, ფინალში გამოკვეთილი თემა მაყურებლისათვის ზუსტადაა მიწოდებული. ...ის, რაც რუსუდანის დადგმას სხვებისაგან გამოარჩევს, მაინც მისი სპექტაკლის ესთეტიკაა“.

თუნჯერ ჯუჯენოღლუ, დრამატურგი,
„შიში, როგორც სინდრომი“ „ტაბულა“, 2.03.2012.



Cuncer Jujenoglu

# Avalanche

Director by Rusudan Bolkvadze
Designer by Nino Chitaishvili
Music by Ia Sakandelidze
Choreograper:
Zurab Beglarishvili

Cast:
Lia Kapanadze, Rezo Tavartkiladze , Ani Imnadze , Giorgi Kipshidze , Darejan Khachidze,Gia Abesalashvili, Laura Rekhviashvili, Nika Tserediani ,Gvanca Gurgenishvili, Anri Bibineishvili,

Premiere was held in 2012

Duration: 70 minutes, without intermission

About Performance:
A "The Avalanche" is the most popular piece of contemporary Turkish playwright Tuncer Cucenoglu. It was staged in Georgia and many countries of Europe and America.
Keeping the best artistic traditions of M.Tumanishvili theatrical ensemble, an actress-turned-into director Rusudan Bolkvadze has staged the play in a different manner and style. The show has been distinguished by the author himself. The main character of the play is Fear.
Fear of snow-slide in a tiny mountainous village, where generations live under strict rules of local Council of Actions, trying to keep silence, survive, but slowly losing human emotions. / The Council ordered to bury alive a young girl because of her premature birth, that could be a reason of noise and a vital danger for the rest /
This overwhelming feeling of fear grew into a metaphysical concept of living in a slavery position, which is the most dangerous form of being. What can oppose it? Right. Love!

# R+J ბედისწერა დაბნეულია
# რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება

## უილიამ შექსპირის მიხედვით



თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა
იდეა, რეჟისურა და სივრცის გადაწყვეტა მიხეილ მარმარინოსის
ორიგინალური ტექსტის თარგმანი ვერიკო მგელაძის
ტექსტზე მუშაობდნენ – მანანა ანთაძე, დათა თავაძე
ორიგინალური მუსიკა დიმიტრის კამაროტოსის
კოსტიუმების მხატვარი – უშანგი იმერლიშვილი
მხატვარი-გრიმიორი – ანუკა მურვანიძე
რეჟისორის ასისტენტი – დათა თავაძე
რეჟისორის მეორე ასისტენტი – ეკა დემეტრაძე

მონაწილეობენ:
გიორგი ნაკაშიძე, პაატა ინაური, გიორგი შარვაშიძე, კატო კალატოზიშვილი, ქეთა შათირიშვილი, მაია გელოვანი, ეკა დემეტრაძე, მაგდა ლებანიძე

პრემიერა შედგა 2012 წელს
ხანგრძლივობა: 170 წუთი
წარმოდგენა ორ მოქმედებად

სპექტაკლის შესახებ:
ბერძენი რეჟისორის მიხეილ მარმარინოსის მიერ თუმანიშვილის თეატრში განხორციელებული კლასიკური პიესის თამამი ინტერპრეტაცია 2012 წლის თეატრალური სეზონის მოვლენად იქცა. სპექტაკლი წარდგენილი იყო თეატრალური პრემია „დურუჯის“ ექვს ნომინაციაზე და აღინიშნა ორი მთავარი პრიზით.



„...ბედისწერა ადამიანს ისე ეთამაშება, როგორც კატა თაგვს. შეგიძლია შენი პირობები წამოაყენო, თუ თაგვი ხარ?
თეატრი იმედის უკანასკნელი ადგილია, იქ თაგვსაც აქვს შანსი. ბედისწერას ვერ გაექცევი. პიესას?
არა, არავის შეუძლია პიესას გაექცეს...
...ზოგჯერ მეკითხებიან, და ამ დროს მათში იმედის ნაპერწკალს ვხედავ: „ფინალი ისეთივე გაქვთ?“ სპექტაკლს? სპექტაკლს შეუძლია პიესას გადაუხვიოს?“

მიხეილ მარმარინოსი

პრესა:
„შექსპირის ტექსტის პარალელურად რეჟისორის მიერ შეთხზული ტექსტი მიდის, რომლის საშუალებითაც შექსპირის გმირების ეპოქის დეტალებში რეკონსტრუქცია ხდება – ბრეიგელის ნახატებივით. ამ ყველაფერს ერთვის დღევანდელი თბილისის ყოველდღიური ამბები თუ მსახიობთა თავისუფალი ინტერპრეტაციები... მსახიობთან ერთად, მარმარინოსის „რომეო და ჯულიეტა“ ახალ მაყურებელსაც გულისხმობს – მაყურებელს, რომელიც აქტიურად ფიქრობს“.

თამარ კიკნაველიძე
„ლიბერალი“

# R+J
# Fate is Lost
# Romeo and Juliet
# Third Memory

By William Shakespeare



Directed by Michael Marmarinos
Translated by Vakhtang Chelidze
Original text tranlated by Veriko Mgeladze
Text edited by Manana Antadze and Data Tavadze
Original music score by Dimitris Kamarotos
Costumes designer Ushangi Imerlishvili
Make-up Artist Anuka Murvanidze
Assistant director Data Tavadze
Second assistant director Eka Demetradze

Cast:
